ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ანგარიშს, 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 15 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი /დავით ჭელიძე/

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების მაკონტროლებელი
ფურცლების რაოდენობა 16 ფურცელი
№10/17637 22.11.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით ჭელიძის

2016 წლის ანგარიში

ინგასასეფეთ, რომ იყო უფლებასაბამისლების ცნობის დღიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი. ასევე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, იურიდიულ საკითხთა და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიათა წევრი. ამ კომისიებში მუშაობის შედეგად მომზადდა მრავალი დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომებზე ინიცირებისთვის, რომელთაგან არაერთი უშუალოდ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებულ პრობლემებს ეხება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხოციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის

ჩვენი ფრაქციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკრებულოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა;

დემოკრატიული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და საჯაროობა,

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე კონტროლი ;

მუნიციპალური ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

2016 წელს 9 თვის განმავლობაში ფრაქციამ სულ ჩატარდა 10 სხდომა, ვესწრებოდი ფრაქციის ათივე სხდომას და საკრებულოს 26 სხდომას, საკრებულოს სხდომაზე განხილულ საკითხთა რაოდენობაა 384.

ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომებზე განხილული საკითხებია :

1. უფასო სასადილობის ირგვლივ შექმნილი პრობლემების გადაჭრის გზების პოვნის შესახებ მსჯელობა.

2. ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წ. ანალიზი, 2016წ. სამუშაოების დაგეგმვა, შესყიდვების წარმოების ეფექტურობა და მათი სწორი მართვა და მონიტორინგი.

3. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

4. ბთაწმინდის, დიდუბის, ჩუღურეთის, საბურთალოს რაიონებში უფასო სასადილოების მონიტორინგის შესახებ.

5. უფასო სასადილოებში სანიტარული მდგომარეობის და სატენდერო მენიუს შემადგენლობის შესახებ.

6. მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ანგარიში.

მომხსენებელი - ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის

უფროსი გივი კუბლაშვილი.

7. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებით (ტენდერების, გზების, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის აღდგენა-რეკონსტრუქციის შესახებ) .

8. ანგარიში გაწეული მუშაობის და ქალაქის განვითარების სტრატეგიის შესახებ.

9. თბილისის განვითარების ფონდის შესახებ.

10. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ.

11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ანგარიში 2016 წლის 6 თვის გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ქ.თბილისისი მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი გურგენიძე.

12. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

13. მაჟორიტარი ბიუროს მუშაობაში საკრებულოს პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების ჩართულობის შესახებ.

14. ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2016წ ანალიზი.

15. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა.

რაც შეეხება კომისიებს, საანგარიშო პერიოდში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 25 სხდომა, განხილული გვაქვს 504 საკითხი, ცალკე უნდა აღინიშნოს, დამატებით განხილული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების 217 წინადადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის 113 საკრებულოში ინიცირებულ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტებზე მომზადებული გვაქვს დასკვნები. მი

[illegible] „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის [illegible] პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიღება მიზნად ისახავდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“, ეფექტიანობის გაზრდას, ბინათმესაკუთრეებისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარებას, პროგრამისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვას და პროგრამის პროცესის გამარტივებას.

დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, ნარეჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის წესი და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესი. დარეგულირდა მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქცია.

მომზადდა დასკვნები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარეჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტზე.

ქ. თბილისის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 2.5 ლარით თვეში, ხოლო იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 57 000 ან 57 000-ზე დაბალია მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 2 ლარით თვეში.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის სულადობა დგინდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის ინფორმაციით. როგორც მიმდინარე პრაქტიკა გვიჩვენებს, მთელ რიგ მისამართებზე (აბონენტებზე) სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის შესაბამისად რეგისტრირებული არ არის არცერთი ფიზიკური პირი. უმეტეს შემთხვევაში ეს არის საცხოვრებელი ბინები/სახლები, სადაც რეალურად ცხოვრობენ მოქალაქეები რეგისტრაციის გარეშე, შესაბამისად არიან ნარჩენების წარმომქმნელები. ბევრ მოქალაქეს საკუთრებაში აქვს ორი ან მეტი ბინა/სახლი, რომელიც აქვს გაქირავებული (ან დაგირავებული, ან დროებით აცხოვრებს სხვა პირებს), ხოლო იმის გამო, რომ ამ კონკრეტულ მისამართებზე არავინ არ არის რეგისტრირებული, დასუფთავების მოსაკრებელი არ ერიცხებათ. იმ შემთხვევაში თუ ბინები/სახლები დაკეტილია და არავინ ცხოვრობს შესაბამისად არ მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა.თუ დადასტურდება, რომ ბინა/სახლი გამოიყენება საცხოვრებლად (მიმდინარე პერიოდში ცხოვრობენ), შესაბამისად ცხოვრობს მინიმუმ ერთი პადამიანი მაინც, სადაც წარმოიქმნება ნარჩენები, რომლის გატანასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. ასეთ საცხოვრებელ ბინებს/სახლებს რომელთაც არ ერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი მოსახლეობის სულადობის მიხედვით და დასტურდება მოსახლეობის ცხოვრების ფაქტი, დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი როგორც ერთი სულს - 2,5 ლარის ოდენობით.

აღებულან, მოწყობილდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაყვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების დანართით 1-ით დამტკიცებულ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის მე-6 მუხლი, რომლითაც არსებული დავალიანების მქონე გადამხდელებს (აბონენტებს) უფლება ეძლევათ გადაიხადონ არსებული დავალიანება (მიმდინარე გადასახდელთან ერთად) განწილვადების გზით. ამასთან ფიზიკურ პირებს (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), რომელთაც გააჩნიათ დარიცხული დასუფთავების მოსაკრებელის დავალიანება, მიეცათ უფლება აღნიშნული (მოსაკრებლის მიმდინარე ყოველთვიურ დარიცხვასთან ერთად) დავალიანება დაფარონ ეტაპობრივად არაუმეტეს 12 თვის ვადაში, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

კომისიის სხდომებზე, ქალაქის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხილული იქნა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (3 და 2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების სრულყოფის საკითხები. (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ფორმით). ცვლილებების განხორციელებამ ხელი შეუწყო მგზავრთა გადაყვანის დროის შემცირებას და გააუმჯობესა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის ხარისხი. ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო ახალი ავტობუსების ხაზებზე ჩართვით. 10 ავტობუსი ბაგებიდან ორბელიანის მოედნის მიმართულებით მოძრავ 61 ავტობუსის ხაზზე დაინიშნა, თბილისის ავტოპარკი, ეტაპობრივად 143 ერთეული ახალი ავტობუსით თებერვლის ბოლომდე განახლდება. გამოთავისუფლებული ავტობუსებით ძირითადად შეივსება ხაზზე დღეისათვის მოძრავი შემადგენლობები, რაც ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილებებს შორის ინტერვალს შეამცირებს და მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის.

ევროსტანდარტების შესაბამისი მუნიციპალური ტრანსპორტი საწვავზე (ბუნებრივი აირი) მომუშავე ძრავითაა აღჭურვილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სრულადაა ადაპტირებული. ლურჯი ფერის ახალი ავტობუსები, რომელთა სიგრძე 12 მეტრია, ქალაქის მასშტაბით არსებულ გრძელ დისტანციებსა და ფართო გამტარუნარიანობის ქუჩებზე ივლის. აღნიშნული ტრანსპორტით 85 მგზავრის გადაყვანაა შესაძლებელი. მეორე ეტაპზე კი ახალი ავტობუსები 51 ხაზს დაემატება.

თბილისის მერიას ავტობუსების პარკის განახლების 4-წლიანი გეგმა აქვს, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და პარკის ეკოლოგიურად სუფთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული ავტობუსებით სრულად განახლებას ითვალისწინებს.

ექსპლოატაციაში იქნა გაშვებული კუს ტბის განახლებული საბაგირო გზა.

გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა მოძველებული ინფრასტრუქტურა, გარემონტდა და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით აღიჭურვა ორივე

[illegible] ბაღი, [illegible] ბაგირა, [illegible] ბაზა [illegible] პულტი, კაპიტალურად გარემონტდა გონდოლები. საბაგირო, რომელიც 1965 წელს გაიხსნა, ისტორიული ღირებულება აქვს და ის ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

კუს ტბის ახალ სახაგირო გზაზე თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს ორი გონდოლა მოემსახურება და ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბაზე მოხვედრა 6 წუთში იქნება შესაძლებელი. თითო გონდოლით 10-12 ადამიანი, მათ შორის ერთი მუდმივი გამცილებელი იმგზავრებს. გონდოლები და სადგურები შეზღუდული შესაძლებებოს მქონე პირებისთვისაა ადაპტირებული, ხოლო მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, გონდოლებზე ველოსიპედის მოყვარულებისთვის სპეციალური ველოსაკიდებია დამონტაჟებული.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრას და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების, მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნას. ამ პროექტის განსახორციელებლად 2015 წლის ბიუჯეტში ჩადებული იყო 1 მილიონი, 2016 წლის ბიუჯეტში 2 მილიონ 300 ათასი ლარი. გამოცხადებული იქნა კონკურსი და დღეისათვის გამარჯვებული მსხვილი საერთაშორისო კომპანია მუშაობს დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე და უმოკლეს ვადაში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.

ამ დღეებში საკრებულოში მოსმენილი იქნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებასთან დაკავშირებით 9 თვის ანგარიში, რომელიც პრეზენტაციის სახით თბილისის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის „სითი ინსტიტუტი საქართველო" ხელმძღვანელმა მერაბ ბოლქვაძემ წარმოადგინა. ანგარიშში პირველ ეტაპზე განსახორციელებელი გადაუდებელი ცვლილებების, საცხოვრებელი ზონის სახეობების, ასევე თბილისის საინჟინრო-გეოლოგიური და განაშენებული ტერიტორიების განვითარებითი პოტენციალისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე იქნა გამახვილებული ყურადღება. მსჯელობა გაიმართა თბილისის მიწათსარგებლობის კონცეფციის, ღანდშაფტური ზონების, გარემოსდაცვისა და ურბანული ოპტიმიზაციის საკითხებზე, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელების, საფეხმავლო არეალებისა და პარკირების რეგულირების შესახებ.

განხორციელდა „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ახალი წესები, დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით, ითვალისწინებს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისთვის მინიმალური ტერიტორიის განსაზღვრას და იგი შეადგენს 5000 კვ.მ-ს.

[illegible] ქალაქგეგმარების [illegible] [illegible] [illegible]

[illegible] სამშენებლო განვითარების მიზნის დასაბუთება.

განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიშენება–დაშენებების აკრძალვას, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა. კერძოდ, იმ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომელთა იერსახე დარღვეულია და ხდება მათი იერსახის მოწესრიგება, დასაშვებია მიშენება, დაშენება, ან/და მანსარდის მოწყობა მხოლოდ ერთიანი პროექტისა და შესაბამისი საექპერტო დასკვნის არსებობის პირობებში.

მოქმედი რედაქციის თანახმად, მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით შესაძლებელია, რაც ეწინააღმდეგება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს და არ უნდა წარმოადგენდეს კერძო პირების შეთანხმების საგანს. დადგენილების პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ნორმის გაუქმებას.

განაშენიანების რეგულირების მოქმედი წესები ერთ საცხოვრებელ ერთეულზე მინიმუმ ერთი ავტოსადგომის მოწყობის ვალდებულებას ითვალისწინებს, თუმცა მხოლოდ საცხოვრებელ ზონებში და სხვა ფუნქციურ ზონებში სხვა ფუნქციის შენობა–ნაგებობების მიმართ რეგლამენტს არ ადგენს. წინამდებარე პროექტით ხდება ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა საცხოვრებელი ფუნქციის შენობა–ნაგებობის და სასაფლაოების ახალი მშენებლობის შემთხვევებში. მინიმალური რაოდენობა დიფერენცირებულია ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონების (ცენტრალური ზონა, გეგმარებითი კარკასი, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა) შესაბამისად. ასევე, გათვალისწინებულია ავტოსადგომების, პანდუსებისა და ავტოსადგომებთან მისასვლელების გაბარიტული ზომები და ის ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს ავტოსადგომების გამართულად ფუნქციონირებას.

რაც შეეხება იურიდიულ საკითხთა კომისიას, ამ საანგარიშო პერიოდში გაიმართა 27 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 235 საკითხი. დავესწარი ყველა სხდომას და მონაწილეობა მივიღე აგრეთვე ყველა საკითხის განხილვაში.

კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ."

3. სსიპ ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

4. სსიპ ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლისათვის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

5. საკუთრებაში [illegible] ქ.თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.002.053) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხევდელობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდაღვევათა საქმინისწარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კეტეგორის) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე"

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის დადგენილებაში ცვლილელებების შეტანის თაობაზე.

14. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და

სხვა ფასის ფულადი დასაბრუნების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

15. "საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

16. "ა(ა)იპ „წმინდა თომა მოციქულის ტაძრისთვის" (ს/ნ. 404983737) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

17. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შპს ,,სინათლის ქალაქისა" და შპს ,,თბილსერვის ჯგუფის'' რეორგანიზაციასთან (შერწყმასთან(მიერთებასთან) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 მაისის №144 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

აგრეთვე სხვა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

რაც შეეხება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, ჩემი კომისიაში ჩართვის დღიდან ჩატარდა 21 კომისიის სხდომა, განხილულ იქნა 2652 საკითხი, აქედან დაკმაყოფილდა 211, ხოლო გადაიდო 663.

ამავე დროს ნაყოფიერად მუშაობს დეპუტატის ბიურო, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამომრჩეველთან.

ბიუროში ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი ნაძალადევი-ლოტკინის მოსახლეობის პრობლემების განხილვა. კვირაში ერთი დღე, კერძოდ ოთხშაბათი, გამოყოფილია მოქალაქეთა მიღებისთვის, თუმცა, საჭიროების მიხედვით, მათი მიღება სხვა დღეებშიც ხდება. მიმდინარეობს მათი პრობლემების განხილვა და შესაბამისი კონსულტაციის გაწევა. საჭიროების შემთხვევაში კი მოქალაქეებს შუამდგომლობა ეწევათ სხვადასხვა უწყებაში.

2016 წლის იანვრიდან დღემდე, შეხვედრაზე მოსული მოსახლეობის რაოდენობა, ამ დროისთვის, შეადგენს 1397 ადამიანს.

	სულ: 1683 მოსახლეობის მოსაცილებელი	
№	საკითხი	რაოდენობა
1	სოციალური	803
2	ინფრასტრუქტურა	105
3	კეთილმოწყობა	158
4	დასაქმება	599
5	სწავლის დაფინანსება	11
6	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა	29

მოქალაქეთა დანარჩენი ნაწილი მოსულია სახვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რეკომენდაციის, შუამდგომლობის და სხვადასხვა თხოვნით. ხოლო იურიდიულ-სამართლებრივ საკითხზე მოსულებს, გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია.

ამ საანგარიშო პერიოდში, ბიუროში შემოვიდა 173 განცხადება, რომლებიც ეხება ფინანსურ დახმარებას, ოპერაციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და მედიკამენტის დაფინანსებას, სამენი მასალის გამოყოფას, სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერის მონტაჟს, კომუნალური გადასახადის და სხვა სახის ჯარიმების გადანაწილებას, სკვერის და სპორტული მოედნის რეაბილიტაციას, კეთილმოწყობას. მათგან უმეტესი დაკმაყოფილებულია.

მოსული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადამისამართდა შესაბამის სტრუქტურებში. დანარჩენებს კი გაეწიათ სიტყვიერი კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მივდივართ და ვეცნობით თითოეული მოქალაქის პრობლემას

საბავშვო ბაღების სიმცირესთან დაკავშირებული მწვავე პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენი თანამონაწილეობით აშენდა ორი საბავშვო ბაღი მანჯგალაძის ქ № 19-ში და მიტინგის ქუჩა №1-ში.

ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბინათმესაკუთრეთა განვითარების განყოფილების კუთხით ძველი ნაძალადევი-ლოტკინის სამაჟორიტარო ოლქში შესრულებულია შემდეგი სარემონტო სამუშაოები:

№	ამხ დასახელება	მისამართი	თაემჯდომარე	ობიექტი	გამგ. წილი	თანხა სულ
1	არწივი	მრეველიშვილის ქ. №1	დარიკო კუხალაშვილი	სადარბაზოს შიდა რემონტი (თაღების რეაბილიტაცია)	46910,25	58637,81
2	არწივი	მრეველიშვილის ქ. №1	დარიკო კუხალაშვილი	ბრტყელი სახურავი	14582,18	18227,73
3	ერთობა	ქ. თბილისი,ბახმაროს ქ. 46	თამარ ყიფიანი	კაპიტალური გამაგრების პროექტის მომზადება, ექსპერტიზა	3341,1	3612
4	„მეგობრობა„	ქ. თბილისი, ასკურავას №26	ნინო ჯოხაძე	ქანობიანი სახურავი	5621,47	7026,84
5	სანერგის დასახლება	გარეჯის ქ. №42	დავით ქოროღლიშვილი	ქანობიანი სახურავი	19694,57	24618,21

6	ჩვენი ეზო	ც. დადიახის ქ. №34, კორპ №18	ბურმახ ლაგვილავა	[illegible] ქანალიზაციის გაყვანილობა	25842,87	30403,38
7	ვერძი	ც.დადიანის №34 კ№17	ელზა მასხარაშვილი	შიდა წყალ-ქანალიზაციის გაყვანილობა	22685,05	26688,29
8	ძალა ერთობაშია	ც.დადიანის 77	ნინო ყიფიანი	შიდა წყალ-ქანალიზაციის გაყვანილობა	1812,4	2132,24
9	სანერგის დასახლება	გარეჯის ქ. №42	დავით ქოროღლიშვილი	წყალსაწრეტი მილები (ყოლობი)	2322,76	2903,45
10	იბმა №233	ც. დადიანის ქ. №65; კორპ №1 კორპ №2	დალი შაყულაშვილი	ბრტყელი სახურავი	7891,81	9841,98
11	გომბორი	გომბორის ქ. №19	გურამ ჭელიძე	ქანობიანი სახურავი	4028,5	5035,63
12	იმედი	ასკურავას ქ. №28	ლიანა ეფრემიძე	კაპიტალური გამაგრების პროექტის მომზადება, ექსპერტიზა	5790,88	6333,78
13	თბილისი	სანერგე დას. დ. გარეჯის ქ. კორ.17	მანანა გაბუნია	ქანობიანი სახურავი	17961,42	22451,78
14	თბილისი	სანერგე დას. დ. გარეჯის ქ. კორ.17	მანანა გაბუნია	წყალსაწრეტი მილები (ყოლობი)	3625,47	4531,84
15	იმედი 34	ც. დადიანის 34, კორპ №3	ნაირა ბაბაშვილი	ბრტყელი სახურავი	6574,67	8218,34
16	დადიანის 130	ც. დადიანის ქ. №130	მარინე ჭკადუა	ქანობიანი სახურავი	8959,27	11199,09
17	თბილისი	სანერგე დას. დ. გარეჯის ქ. კორ.17	მანანა გაბუნია	სადარბაზოს სენსორული განათება	1067,35	1185,94
18	იბმა №233	ც. დადიანის ქ. №65; კორპ №1 კორპ №2	დალი შაყულაშვილი	ბრტყელი სახურავი	5075,47	6344,34
19	ბურჯი	ხუდადოვის ქ. №2	თეა ღავთაძე	საერთო სარგებლობის ობიექტების აღდგენა	7389,5	9236,88
20	აისი	ც. დადიანის ქ. №34, კორპ №12	ავთანდილი ჩხენკელი	ბრტყელი სახურავი	5479,66	6849,58

ოფის საბაჟოსტატის ოლქების, საბაჟოსადგურების, [illegible]
პროექტი, ესენია:

N	ოლქი	ობიექტის დასახელება	საკონტრაქტო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	ბორჯომი	ინანიშვილის ქ.	19 500,00	სამუშაოები დამთავრებულია
2		ლოტკინის მთის ქ /18.04-31.05/07.07.16	127 969,49	სამუშაოები დამთავრებულია
3		მანჯგალაძის I შესახვევი 1.03-30.04	58 175,12	სამუშაოები დამთავრებულია
4		ცქიტიშვილის ქ. /23.05-25.07/25.09.16	373 518,37	მიმდინარეობს სამუშაოები, დამთავრდება წლის ბოლოს
5		უიარაღოს ქ. 1,2,3 შესახვ	347 196,00	სამუშაოები დამთავრებულია
6		იმერეთის ქუჩის რეაბილიტაცია (ნაწილობრივი.)	90 000,00	სამუშაოები დამთავრებულია
7		მანჯგალაძის ქ-ის ფრაგმენტული და ორმოული შეკეთება	14 920,89	სამუშაოები დამთავრებულია
8		ცოტნე დადიანის 34 კ. ორმოული შეკეთება	724,12	სამუშაოები დამთავრებულია
9		ზედამზის I შესახვევი	117 198,51	სამუშაოები დამთავრებულია
10		ბუგეულის ქ.	82 540,00	სამუშაოები დამთავრებულია
11		ზედამზის I შესახვევის ტროტუარების დამატებითი სამუშაოები.	8 800,09	სამუშაოები დამთავრებულია
12		ც. დადიანის 34-ის 15-ე კ -ის ეზო (ფრაგმენტული)	14 718,91	სამუშაოები დამთავრებულია
		ჯამი გზები	1 255 261,50	

N	კატეგორია	ობიექტის დასახელება	საკონტრაქტო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
		კ ე თ ი ლ მ ო წ ყ ო ბ ა		
1	სკვერები	მანჯგალაძის ქუჩისა და ცოტნე დადიანის პროსპექტის გზაგამყოფის მწვანე ზოლი	36 341,19	სამუშაოები დამთავრებულია
2		მანჯგალაძის და ლიკანის ქუჩების გადაკვეთაზე (სამკუთხედი ბაღი)	67 187,82	სამუშაოები დამთავრებულია
3		ცოტნე დადიანის მე-2 მ.რ-ის მ-2 და მ-3 კორპუსებს შორის არსებული სკვერი	59 533,55	სამუშაოები დამთავრებულია
4	საბავშვო ატრაქციონები	ნაქალაქევის ქ. 8	17 750,00	სამუშაოები დამთავრებულია
5	სანიაღვრე	სუვოროვის ქ. სანიაღვრე სისტემის მოწყობა	100 000,00	სამუშაოები დამთავრებულია
6		ე. მანჯგალაძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მოწყობა	41 948,94	სამუშაოები დამთავრებულია
7	კიბეები	გრუზინსკის ქ-ის კიბეები (16573.81/127,49=130 $მ^{2)}$	16 573,81	სამუშაოები დამთავრებულია
8		ჯავის ქუჩის კიბეები	10 000,00	დამთავრებულია
9	საყრდენი კედლები	1. ინანიშვილის 32	130 371,56	სამუშაოები დამთავრებულია
10		2.კახიანის მ-3 შესახვევი # 9	12 153,54	სამუშაოები დამთავრებულია
11		3. ლოტკინის ხევი# 40	52 332,09	სამუშაოები დამთავრებულია
12		4. მანჯგალაძის #19 4.05.16-	16 487,62	სამუშაოები დამთავრებულია
13		6. მიქატაძის შესახვევი #4	13 435,18	სამუშაოები დამთავრებულია
14		7.ინანიშვილის ქ.-ის 38 კედლის მშენებლობა	173 083,79	სამუშაოები დამთავრებულია

N	პუნქტი	ობიექტის დასახელება	საკონტრაქტო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
15	ფეხბურთის მოედნები	ზიარის და ბახმაროს ქუჩების კვეთა (მარაკანას სტადიონი	12 785,46	სამუშაოები დამთავრებულია
16		სანერგე მეურნეობის დასახლება	19 268,77	სამუშაოები დამთავრებულია
17		ცოტნე დადიანის გამზ. 87	11 680,84	სამუშაოები დამთავრებულია
18		ცინცაძის I შესახვევი (ბოლო)	19 462,45	სამუშაოები დამთავრებულია
19		დადიანის 34-ის მე-15 კ.	9 634,00	სამუშაოები დამთავრებულია
20	სტადიონები	კიშინიოვის ქ.	39 476,00	სამუშაოები დამთავრებულია
	ჯამი კეთილმოწყობა		859 506,61	
	სულ		2 124 287,88	

პატივისცემით,

საკრებულოს წევრი დავით ჭელიძე